ოქმი:**ო37. 3724333001**

თარიღი:**28/11/2024**

ოქმი N 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2024 წელი, 27 ნოემბერი
ქ. ოზურგეთი
11:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, ფრაქციის თავმჯდომარე- მ. ჩხიკვიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ.მელუა, დ. მდინარაძე, ნ.მახარაძე, ვ.ნიჟარაძე, თ.ტუღუში, ნ.სარჯველაძე, ბ.კილაძე, ხ.თავდიშვილი, თ.ნიკოლაიშვილი, გ.შილაკაძე, შ.თავდიშვილი, დ.მჟავანაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 29 -მ, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29-ხმით.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

საკითხის გაცნობამდე თანამომხსენებელი გ. ღურჯუმელიძე მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას,გააცნო მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის ძირითადი დებულებები და აღნიშნა, რომ აღნიშნული წესის საჯარო წარმოების პროცესში შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები არ შემოსულა.

დადგენილება თან ერთვის

მიღებული იქნა 23 ხმით

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

თანამომხსენებელმა გიორგი ღურჯუმელიძემ მოკლედ დაახასიათა განსახილველად წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტი და აღნიშნა,რომ მისი განხორციელების შედეგად მოხდება სოფლის გზის რეაბილიტაცია,რაც ხელს შეუწყობს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ბ.თოიძემ წარმოადგინა კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის დასკვნა ,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ოთხი ახალი პროექტი ჯამური 8 267841,66 ლარის ღირებულებით მოწონების შესახებ.

განკარგულება თან ერთვის

მიღებული იქნა 23 ხმით

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელმა გიორგი ღურჯუმელიძემ დაახასიათა განსახილველად წარმოდგენილი პროექტი და ხაზი გაუსვა მათ ეფექტურობას.საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ბ.თოიძემ წარმოადგინა დასკვნა, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

განკარგულება თან ერთვის

მიღებული იქნა 23 ხმით

4.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოადგინა გიორგი ღურჯუმელიძემ. ანგარიშის ირგვლივ კითხვები არ

დასმულა. დარგობრივი კომისიის დასკვნა წარმოადგინა ლ.ბიგვავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან ერთად III კვარტლის ანგარიში წარმოდგენილია არა მხოლოდ ნაზრდი ჯამით საანგარიშო წლის დაწყებიდან, არამედ ძირითადი პარამეტრები წარმოდგენილია ცალკეული კვარტლების მიხედვით.

საკითხი 23 ხმით ცნობად იქნა მიღებული.

5. „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებაში მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ.თოიძემ ისაუბრა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებაში მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების თაობაზე.საკრებულომ მოისმინა დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ და ცნობად მიიღო 23 ხმით.

6. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი